№ 181
ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877–1901

ივერია

№ 181
ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის კერძო სამკურნალო

ადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ვინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, —10 საათ.

ვ. ვ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. ვ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისის, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური ვამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

კვალინდებულათ ვამზადებ ბავშვებს ყველა სასწავლებელში შესასვლელათ. ფასი 3—5 მანეთი. Подготовляю дѣтей для поступленія во всѣ учебныя заведенія.

Адресъ: Андрѣевская улица № 23.

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10 - 181 - 3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

ვ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს დღეს დილით, 23 აგვისტოს, მოელიან პეტერბურგიდგან ბაქოს გზით.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე კოჯორიდგან გუშინ დაბრუნდა.

⁂ „С.-Петерб. Вѣдомости“-ს № 224-ში ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ღრმად-პატივცემულის ნ. დურნოვოსი ბ-ნის „Грузинъ-ის საპასუხოდ ამ სათაურით: „Много-ли правды въ отвѣтѣ намъ „Грузина.“ წამკითხველი სანუგეშოს ბევრსა ჰპოვებს.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დედათა ზოგიერთ სკოლების დღევანდელს პროგრამაში ცვლილება შეიტანოს და ახალი სასწავლებლების გახსნის დროს სულ სხვა პროგრამით მისცენ ხოლმე ნებართვა სასწავლებლის დაარსებისა, მაგრამ საზოგადოდ ამ ცვლილების დაწვრილებით განხილვას 1903 წლ. აგვისტომდე ვერ შეუდგებიან თურმე.

⁂ იმავე სამინისტროს განზრახვა აქვს სამინისტროს პირველ-დაწყებით სახალხო სკოლების პროგრამებისა და სწავლების საშუალებათა გადასასინჯავად საგანგებო კომისსია დანიშნოს, რომელიც 1902 წელს შეუდგება ზამთარში მუშაობას, მეტი ყურადღება მიექცევა მასწავლებლების მომზადებას.

⁂ საერო განათლების მინისტრს სურვილი გამოუცხადებია, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელ ქალების და კაცების ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესებული იქმნეს.

⁂ ფინანსთა სამინისტროს გარდაწყვეტილი აქვს მომავალი წლიდგან რუსეთის სხვა-და-სხვა სავაჭრო ადგილებში დაბალი სავაჭრო სკოლები გახსნას.

⁂ მთავრობას გარდაუწყვეტია ამ ახლო მომავალში წვრილის ვაჭრობისა და საქარხნო მრეწველობის საჭიროებათათვის საკრედიტო დაწესებულებანი დააარსოს.

⁂ როგორც გორიდგან გვატყობინებენ, 21 აგვისტოს, საღამოს 9 საათზედ, გორის სადგურზედ მატარებელი № 168 იმ ლიანდაგზედ გაუშვიათ, რომელზედაც მატარებელი №167 მდგარა; ეს მატარებლები ერთმანეთს დასჯახებიან, რომლის დროსაც მძიმედ დაჭრილა უბილეთო მგზავრი გლეხი გიორგი ნადირაშვილი და მსუბუქად დაშავებულან მემანქანე დულაევი და კონდუქტორები მეტრეველი და კულაკოვი. ამას გარდა რამდენიმე ცისტერნი დამტვრეულა და ერთი ორთქლ-მავალიც დაზიანებულია. დაშავებულთათვის სამკურნალო შეწეობა აღმოუჩენიათ.

⁂ პარასკევს, 24 აგვისტოს, დაიწყება ტფილისის სასულიერო სემენარიაში მისაღები გამოცდა ახლად შემსვლელთათვის. წელს სემენარიის პირველს კლასში სულ 50 თავისუფალი ადგილია და მთხოვნე-

ფელეტონი

—

სალიტერატურო მიმოხილვა.

„კვალი“ №№ 23—30.

ორიგინალური ბელეტრისტიკა ენს მწერლობაში, ამ ბოლოს როს, სანთლით საძებნელი გახდა. ე გაძვირდა და შემცირდა, რომ ურნალ-გაზეთების ფურცლებზე ლივსლა ჰპოებ სადმე კუთხეში მი- ებულს პაწაწინა „ეტიუდად“, კიზად, სურათად და სხვა ამ გვარ ოილმანად.

„კვალიც“ ამ მხრივ სხვა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს არა სჯობია: თი- თვის და მკათათვის ნომრებში, ება პუბლიცისტურს წერილებსა ა რუსულიდან გადმოთარგმნილს თხრობებს შუა ჩაჰკლეტილია რი პატარა ნაწარმოები ქართულის ჰეერებისა: „ორი ცხედარი“ № 26) და „ნუ მიგყავთ, საზიაროა!“ 30)—ერთი ქ-ბ. ნატოსი და ორე ბ. იონა თლულელისა.

„ორი ცხედარი“ ესკიზია, სადაც ტორს გამოჰყავს პირის-პირ ორი დამარხვა: ცალ მხრით, ღარიბისა და უცნობის მუშისა და ცალ მხრით, გამდიდრებულის მეჯლანის შვილისა. ამ ანტიტეზიდან თვალ წინ წარმოგვიდგება ორი სიკვდილი: ერთი ნამდვილი და მართალი, გაძარცული და საშინელი, ულმობელი და დიდებული, ვის წინაშე მიწიერი ყველა ქედს იხრის, თვით მწუხარებასაც ენა ებმის და ცრემლი უშრება; მეორე-კი—მოკაზმული, რიოში, ყბედი, ამაო და წარმავალის დიდების მოსურვებული,—მისი გამოჩენა საზარელი თამაშაა.

ასე გვიხატავს ავტორი ორის დამარხვის სურათს, სანამ თვისს მხატვრობით ნიჭს ემორჩილება და ვით ხელოვანი შთაბეჭდილების გამოთქმის მეტს არას დაეძებს. მაგრამ ქ-ბ. ნატოში ხელოვანის გარდა პუბლიცისტიც ზის და ეს პუბლიცისტი არ შესჯერდა ხელოვანის ნათქვამს და თავისი კვერი დაჰკრა. ნატო-ხელოვანის დასახული დიადი დაპირ-დაპირება ნატო-პუბლიცისტმა გულგასაგმირალ მოძღვრებად როდი ჩასთვალა და ტენდენციური შეგონება დაამატა.

მოისმინეთ რაებს ბძანებს ნატო-პუბლიცისტი მუშის დამარხვის გამო: „ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეცვითათ ის (მუშა), ერთბაშათ დაეხარჯვინებიათ მთელი ძალა და ენერგია; მუდამ წურბელასავით ეხვიენ ტანზე და ხარბათ სისხლს წუწნიდენ. მაგრამ წურბელამ გაძღომა იცის, ის მანამ მოგეკიდება ტანზე და სისხლს სრუტავს, სანამ კუჭი აევსებოდეს, და როცა ეს მოხდება, ის თითონ მოგვარდებათ ტანიდამ; სხვა თვისებისაა წურბელა-ადამიანი—ის რაც მეტსა ჰამს, იმდენი უფრო შივდება და რაკი ერთხელ მოგეკიდება ტანზე, უცილებლათ მის ნესტიან(?) ტანის ქვეშ უნდა დაიცალო სისხლიდან (?), დალიო სული. ასეთია ხვედრი ასი და ათასის; არა ერთი და ორი ხდება მსხვერპლი (?) წურბელა—ადამიანისა; ერთი ამ მსხვერპლთაგანი იყო ეს ცხედარიც.“

რასაკვირველია ამ საშინელმა სიტყვებმა მკითხველის გული ძირიანად უნდა შეარყიოს და მუშის ბეჭზე „ზღვათაცა შესართავი“ ცრემლი აღვრევინოს. მაგრამ ნატო-პუბლიცისტმა ეს მოძღვრებაც არ იკმარა და ჩვენდა საწვრთნელად ასეთს საშინელს სარკაზმებს სტყორცნის მდიდარის ცხედარს:

„მართალია ისიც, რომ მთელი მისი დიდება მშრომელ ხალხის კისერზე აშენდა, მისი მილიონების წყარო იმავე ხალხის მარჯვენა იყო, მაგრამ იმავე ხალხს კვებდა ის—სამუშაოს აძლევდა, სიკეთისთვის სიკეთეს უშვრებოდა; მართალია ისიც, რომ ის იმ წურბელა ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთა გაუმაძღრობისაგან არა ერთსა და ორს ხდება სული, მაგრამ რათ ისმენ ხოლმე წურბელას ტანზე?! ვინ აიძულებთ? ადამიანი თავისუფალია შრომის არჩევაში. „როცა კაცი მდინარეში ძალით თავს იხრჩობს, განა ამაში მდინარეა დამნაშავე?!“ ხშირათ იტყოდა ხოლმე ეს პატიოსანი გვამი.“

ტანჯული და მტარვალი მოშორდნენ საქაო ღვარძლსა და ძვირს და წარდგნენ საუკუნოების წინაშე და იმის მაგიერ, რომ ზენაარის პირუთვნელი და ულმობელი მსჯავრი გვასმინოს, ავტორი იმეორებს პუბლიცისტურს ფრაზებს, ფუქს, ათასჯერ ნათქვამს და ქუჩაში ნათრევს.

წურბელა-ადამიანის, ბურჟუა-ექსპლოატატორის წამ და უწუმ და უადგილო ადგილას კიცხვა, ეს გახლავს, რასაც ჩვენს მწერლობაში, რასაკურველია რუსების მიბაძვით, „აზრის გატარებას“ ეძახიან. უამისოდ, მრავალის მწერალის აზრით, ბელეტრისტიული თხზულება არაფრად არა ღირს და უვარგისია ვით „ხელოვნება ხელოვნებისათვის.“ ჩვენს მწერლებსაც ეს გაკვეთილი კარგად გაზეპირებული აქვთ, მაგრამ, საუბედუროდ, ყველამ არ იცის მისი გამოყენება.

როგორც მხატვარის აზრს მჭვრეტელი მხოლოდ ნახატიდან შეიტყობს, ეგრეთვე მთხრობელის ტენდენცია მხოლოდ ნაამბობის ფაქტებიდან უნდა წარმოსდინდეს. მოვლენათა მსვლელობამ, და არა ავტორის მოძღვრებამ, უნდა მიიყვანოს მკითხველი იმ დასკვნამდე რომელიც სასურველია ავტორისათვის. თუ ტენდენცია ნაწარმოების ძვალსა და რბილში არ არის გამჯდარი, არამედ მეტ ხორცად აზის, ეგ იმის ნიშანია, რომ მწერალმა

ეროვნული

ლი-კი 60 მეტი თურმე. მისაღები გამოცდა 1 სექტემბრამდე გაგრძელდება, ხოლო განმეორებითი გამოცდა დაიწყება ამ დროსვე და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე. სწავლა სემინარიაში 6 სექტემბრიდგან დაიწყება.

⁂ მომავალის წლის დამდეგს საბოლოოდ გარდასწყდება ურალზედ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლის დაარსების საქმე.

⁂ უწმიდესს სინოდს გარდაუწყვეტნია ტფილისის სასულიერო სემინარიის დღევანდელი შენობა სასულიერო უწყებას დაუნარჩუნოს.

⁂ ორშაბათს, 20 აგვისტოს, ტფილისის გალაქის გამგეობისა და საიუბილეო კომისიის შეერთებული სხდომა მოხდა საიუბილეო დღესასწაულისათვის წესის შესამუშავებლად. ამ სხდომაზედ საბოლოვოდ შემუშავებულ იქმნა შემდეგი წესი: დღესასწაულობამ რომ სახალხო ხასიათი მიიღოს, მის გასამართავად საჭირო თანხის შესადგენად გამართულ იქმნება ხელის მოწერა და ამ გზით შემდგარ ფულით გაიმართება დღესასწაული. ქალაქი სამს დღეს იქმნება გაჩირაღდნებული: 26, 27 და 28 სექტემბერს; უმთავრესად გააჩირაღდნებენ ქალაქის უმთავრეს ქუჩებსა და აგრეთვე აშვებული იქნება ფეიერვერკი სათავად-აზნაურო ბალის დროს. სახლები, როგორც კერძო, აგრეთვე სხვა დაწესებულებანი, მორთული იქნება ბაირაღებით. ტფილისის საკრებულოში გაიმართება საუზმე, რომელზედაც მოწვეულ იქმნებიან სხვა-და-სხვა საპატიო კაცნი, ხალხის წარმომადგენელნი და ამქრები. ქალაქის გამგეობის და კომისიის შერთებულ სხდომის გარდაწყვეტილებით ქალაქის გასაჩირაღდნებლად აღნიშნულ ქუჩების სადღესასწაულოდ მოწყობა ქალაქის ინჟინერის ზედამხედველობით დეკორატორს ბ-ნ ნოვაკს მიენდობა. შეერთებულ სხდომის გაგრძელება დღეს, 23 აგვისტოს, მოხდება, რომელზედაც დღესასწაულის შესახებ ზოგიერთ საგნებს დაწვრილებით შეიმუშავებენ.

⁂ ჩვენმა მომღერლებმა ბ-მა კავსაძემ და ბ-მა კარგარეთელმა შეიტანეს გუშინ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში განცხადება, რომ ერთს პატივცემულს ქართველს (რომელსაც საქმის განხორციელებამდე არა ჰსურს ვინაობა გამოამჟღავნოს) გარდუწყვეტია თავის მხრივ ყოველთვიურად ექვსი თუმანი გაიღოს ამ ხოროს სასარგებლოდ, თუ დრამატიული კომიტეტი საქმეს გაუძღვება, იმ პირობით-კი, რომ ხორომ, რომელს ეკკლესიასაც-კი იგი უჩვენებს ტფილისში, უთუოდ იგალობოს ხოლმე ქართულად ყოველ უქმე დღესა და უქმის ძალზედ. იმედია, ამ ქართველ კეთილსა და მისაბაძ საქმეს დრამატიული საზოგადოების გამგეობა ღირსეულს თაოსნობას გაუწევს.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 22 აგვისტოს დეპეშა მოუვიდა, რომ ნება დაერთო მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ საკითხების განსახილველად კრებები გამართოს.

სამინისტროს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამა და წესი ამ კრებებისა უკვე დაუმტკიცებია.

⁂ კავკასიის გამოფენის მონადირეობის განყოფილების გამგემ ამ დღეებში განცხადება წარუდგინა გამოფენის გამგე-კომიტეტს, რომ რადგანაც ცეცხლის გაჩენის მხრივ გამოფენის პავილიონები უზრუნველყოფილი არ არის, განხილულ იქნეს კომიტეტის შემდეგს სხდომაზედ ის საგანი, უმთავრეს პავილიონის შესავალთან წყლის საქაჩავი მაშინა დაიდგას, აგრეთვე შუამდგომლობა აღიძრას გუბერნატორის წინაშე, რომ გამოფენის დროს ყოველ დღე-ღამ რიგ-რიგად ცეცხლის მქრობელ რაზმის მოხელენი იქმნენ დაყენებულნი და გამოფენის სხვა-და-სხვა განყოფილების გამგეთა მორიგეობა შემოიღონ, რომ წესიერების დასაცველად ღამ-ღამობით უთუოდ მორიგეობდნენ.

⁂ როგორც გრაკალის სადგურიდგან გვატყობინებენ, 21 აგვისტოს, მატარებელს № 5-ში უეცრად გარდაცვლილა ტფილისის გუბერნიის გლეხი ზაქარია ხოჯაშვილი.

⁂ საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი ბროძელი სამსახურისა გამო თელავის მაზრაში იქმნა გაგზავნილი.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟინერს ე. ლ. ვედენეევს ამ თვის გასულს მოელიან.

კავკასიის მომავალი გამოფენა

—

მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარის მიხეილ ნიკოლოზის-ძეს თანხმობა განუცხადებია, რომ კავკასიის მომავალი გამოფენა თავისს მფარველობის ქვეშ მიიღოს. დიდი მთავარი ამასთანავე სამეურნეო საზოგადების საბჭოს მადლობასაც უცხადებს.

⁂

გამოფენის კამისსარმა თ. ანდრონიკაშვილმა სახაზინო თეატრის დეკორატორს ბ-ნს ნოვაკს წინადადება მისცა, რომ გამოფენის თეატრისათვის დეკორაციების გამართვა დააჩქაროს.

⁂

როგორც საბოლოოდ გარდასწყდა, გამოფენა 2 სექტემბერს გაიხსნება, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ.

⁂

გამგე-კომიტეტმა ამ დღეებში გამოფენის მოწვევის ბარათები დაუგზავნა გამოფენის გახსნაზედ დასასწრებლად სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელთ და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლებს.

დამაკვირდი.

—

უვახშმოდ დასწექ და უვალოდ ალსდექ.

ტიბონი

ყრმად გახდები—არავინ შეგიბრალებს, ბატონად გახდები—შური არ მოგასვენებს, შენს ქერქში დარჩები—იტყვიან, არა ფერში არ ვარგაო.

გეტე

—

აქე კეთილი კაცი, იგი გაუკეთესდება, აქე ცუდი კაცი—გაუარესდება.

ვინსკლერი

სამცხე-საათაბაგოს ნაოხრები

(მგზავრის შენიშვნანი)

III

სძინავს?—გაალვიძე.

სამცხეს ნაწილი, რომელიც მე ახლა მოვიარე, გავერანებული იყო იმ მიზეზით, რომ სამი საუკუნე სამცხე-საათაბაგოში ოსმალნი გამაგრდნენ და იქიდან ლეკებთან ერთად მუსრს ავლებდნენ ამ მხარეს, ხალხი ამოსწყდა, გაფრთხა და მათ ცხოვრების მოწმათ დარჩენილან ეკლესიანი, ნასოფლარ-ნადაბარნი, ხიდთა, წყაროთა და ციხეთა ნაშთნნი...

როგორც ამ მხარეში, ისე თრიალეთზედ მდ. ალგეთის, ხრამის და მოშრევნის ხეობებში ნამეტანი ეკლესიანი ერთ გეგმაზედ არიან ნაშენნი: უგუმბათონი, ნავის-სახით, დიდ-შენნი მშვენიერ თლილის ქვით და ქართულ წარწერით ან სამხრეთის კარებთან, ან აღმოსავლეთის მხრივ. ასეთი ეკლესიანი არა უგვიანეს მე XI საუკუნისანი არიან.

შესანიშნავი ისაა, რომ ამ ეკლესიათ სამხრეთით სიგძეზედ აქვთ მიშენებული ფართო კარ-ბჭენი. ამით იმ დასკვნას ვადგივარ, რომ წირვა-ლოცვათ უკან უწინ მოძღვარნი კარბჭეებში სჯულში თუ ჰსწვრთნიდნენ მრევლს. ამას მე ისიც მიმტკიცებს, რომ ქართველ ძველ ლიტერატურაში მრავალი წიგნები გვხვდება კითხვა მიგებითნი სარწმუნოების შესახებ... სხვა დანიშნულებას ვერ მისცემს მკვლეველი ამ კარბჭეთ აუცილებლობას ეკლესიებთან.

ამ სტილის ეკლესი[illegible] ყველგან აქ და უფრო სამცხე-საათაბაგოში მრავალი ეკლესია გვხვდება უფრო დიდებულ სტილისანი და ძვირფასნი. მაგრამ ესენი უფრო შემდეგ საუკუნეებს ეკუთვნიან, არა უგვიანეს მე XV და XVI საუკუნისა—ასეთია ფიტარეტის ტაძარი ხრამში შეჩუქურთმული და ჰაეროვან სტილისა სამცხეს გავეთის მშვენიერი ფერადის ქვით ნაშენი ეკლესია, „ყაურმის“ ტაძარი აღწერილი მიდამოში, წუნდის ეკლესია მეტის გემოთი შეჩუქურთმულ ზედა სარტყლით, ქარხამეთის მშვენიერი ეკლესია და სხვ... ესეც ჯავახეთის ახალ-ქალაქი ყაზარმებით გამსილი და გარს-მორტყმული.

სახელოვან ძველ ციხეს ჯავახეთის მტკვრის კიდეზედ ძლივს ვპოულობ. პასკევიჩმა ერთ დღეს აიღო ეს ოდესმე ქართველთ მიერ ნაშენი სიმაგრე და ეხლა-კი იახიჩართ ბუდე. რუსის მოსვლას, თუ იანიჩართ იქ ყოფნას გაუფანტნია ძველი ახალქალაქის მკვიდრნი,—ეხლა სულ არზრუმ-ყარაბაღიდან სომხობა და ბერძნობა ჩასახლებულა. ერთი ძველი მესხიც შერჩენია ამ ქალაქს, გვარად ჯავახიშვილი, რომელსაც მამაპაპით ძველი წისქვილი დარჩენია აქ და მცირე რამ სასახლე, მაგრამ სიბერისაგან ძველი აღარა არსოვს-რა...

ახალქალაქიდან უშველებელი მთა-ვაკე გეჭიმებათ თვალწინ, მოფენილი სოფლებით: ბარალეთით, კოცელიათი, საროთი, ქილდათი, ხიზამბარვათი—არიან შიგ-და-შიგ წვნიკი ქურთებ-ოსმალოთ სოფლებიც, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში სულ ჯავახ-მესხნი მკვიდრობენ, რომელთაც დაუცვიათ სჯულიც და ენაც... მეურნული კულტურაც აქ ქართულია—ჰხნავენ გუთნით 10 და 9 უღლით და არა კრუებსავით აჩეჩათი. ამ ვაკეზედ მაინც ამათ ჰბაძამენ მოსული სომეხნიც და ოსმალ-თურქნიც; კულტურა ამათია, როგორც მაიჯვე და პროგრესიული.

დიდი-ხნის მუშაობის გამო აქაურ

თავის განზრახვის შესაფერი სუჟეტი ვერ აირჩია, ან არა და უნიჭობის გამო მასალას ვერა სძლია და თავის აზრის გამოსახატავად ვერ გამოიყენა.

აფსუსი კია, რომ ბ. ნატომ თითონვე წაახდინა თავისი პატარა ნაწარმოები ტლანქის ტენდენციით.—აფსუსია, რადგან მარტო სუჟეტის არჩევა გვიმტკიცებს ავტორის ნიჭიერებას. ტანჯულისა და მტარვალის სიკვდილის ანტიტეზა—ყველა მწერალს და ყოველ დღე როდი მოსდის აზრად ასეთი საამბობო ტემა, ჩვენს სულიერს ქესატობაში ეგეც ბევრია.

ნიჭი, მეთქი.... მაგრამ ვაი რომ მაგ ნიჭს მოკლე სუნთქვა აქვს და მალე ილლება! ის პატარა ასიოდე სტრიქონის მოთხრობა, ის განსაზღვრული და მოფარგლული საგანი, რომელიც ავტორმა საამბობლად იკისრა, იმასაც ვერ სძლია მისმა ნიჭმა, ღარი ბოლომდის ვერ გაიტანა. ავტორი ასე ათავებს თავისს მოთხრობას:

„ორივე ცხედარი ერთ სასაფლაოზე დაკრძალეს; ერთი იქვე ეკკლესიის ახლო, მაღლობ და მშრალ ადგილზე, მეორე მოშორებით, დაბლობში. ერთს იმათგანს მდიდრული ძეგლი დაადგეს.

„გავლენ დრონი, ღარიბი ცხედრის ბინა დაბლა დაიწევს, მიწასთან გასწორდება, გავერანდება; კვლავ დასჭირდებათ საფლავი, მესაფლავე ბარით ხელში მიადგება ჩვენ ნაცნობ საფლავს და ბარის ტარს დააწვება, შიგ გაატარებს, თუ მიწამ სუსტი წინააღმდეგობა გაუწია, ჩანს საფლავია—ასეთია იმათი ნიშანი. „დაჭერილი ყოფილაო“, იტყვის ის გულ-გრილათ და ახლა სხვა საფლავზე მოახდენს იმავე დოსტაქრობას *).

„წურბელა-ადამიანის“ საფლავს რაღა მოუვაო? იკითხავს მკითხველი. თუ ცხედრების დაპირ-დაპირება იყო, რატომ ბოლომდის არ მიიყვანა ავტორმა, და ანტიტეზის ნახევარს რა უყოო?—კარგია, თუ ეს ნახევარი „ავტორისაგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო“ მოიკვეთა, და არა ავტორის ნიჭის ხელმოკლეობისა გამო.

—*—

თუ ქ-ბ. ნატოს „ორს ცხედარში“ ცოტაოდენი მაინც ნიჭი სჩანს, ბ. იონა თლუღელის მოთხრობას—„ნუ მიგყავთ, საზიაროა!“—ნიჭიერების ნიშან-წყალიც არ აჩნევია. ორსავე თხზულებას ერთი ტენდენცია აქვს, დაგვიმტკიცოს, რომ ღარიბი და სუსტი მდიდარისა და ძლიერისაგან იჩაგრება, მაგრამ ტენდენცია ერთნაირად არ არის „გატარებული“, რადგან „ორს ცხედარს“ ტენდენცია მეტ-ხორცად აზის, ბ. იონა თლუღელის მოთხრობაში კი ნაამბობს ფაქტებს მოსდევს. ასე დიალამც სჯობია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბ. თლუღელის ნაამბობი ფაქტები ერთი მეორეზე უფრო დაუჯერებელია, და მაშასადამე რაც ასეთს ფაქტებს აზრი დაესკვნის, იგიც აუცილებლად დაუჯერებელი ხდება.

აი მოთხრობის შინაარსი: სოფელს ქურდულეთში სცხოვრებდა ნაყმევი ცოლ-ქმარი, სალომე და მიხეილა, ისეთი ღატაკნი, რომ დღეში ორსამ მჭადს ძლივს შოულობდნენ და ზოგჯერ მშიერნიც ეყარნენ. „ესენი გახლდნენ თავის ბატონისაგან გაბედნიერებულნიო“. გვეუბნება ავტორი, მაგრამ სანამ იმ გაბედნიერებას შეგვატყობინებდეს, გვაცნობებს თვით ბატონს. ეს ბატონი,—რომელიც თავის შესაფერს სახელს ატარებს,—არსენ გულმყრალაძე,—„მეტად განთქმული იყო იმ სოფელში თავის რაინდული მოქმედებით(?). არ შეიძლებოდა, რომ ასეთი(?) არ ყოფილიყო, რადგან მის შთამომავლობასაც(?!) მუდამ ხმალ-ხანჯალი ხელთ ეჭირა, რასაკვირველია არა მტრის მოსაგერიებლად, არამედ თავისისავე მოძმის გამოსაკუპავათ(?) ამიტომ რა გასაკვირველია, რომ არსენაც მათი (ვისი?) მსგავსი იქნებოდა. ერთი სიტყვით, თავის მამაპაპათა ანდერძს შეურყევლად იცავდა და ასრულებდა არსენა გულმყრალაძე“.

რისთვის ცოდვილობდა ავტორი არსენას დახასიათებაზე, ან ქართული ენა რისთვის აწამა და „გამოკუპა?“ გვეტყოდა ბარემ, გულმყრალაძე ფეოდალი იყოო და მორჩა. ვინ არ დაიჯერებდა? გულმყრალაძის სახელიც არა კმარა?

„რაინდული მოქმედება“ ამ ფეოდალისა იმაში გამოჩნდა, რომ „თუმცა ბატონ-ყმობა უკვე დიდი ხანია გადავარდნილი იყო, მაგრამ ცბიერმა არსენამ ბევრი გვარი დაპირებით შეინარჩუნა საბრალო სალომე და მიხეილაო“, გვიამბობს ავტორი. ხოლო ბევრგვარი დაპირება და, ცბიერება გულმყრალაძისა ის იყო, რომ თავისს ნაყმევს გოგო-ბიჭს ჰპირდებოდა, დაგასახელებთო, და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დაპირებით შვიდ წელიწადს აბრიყვებდა.

მაგრამ, როდესაც არსენამ „იმ საცოდავ ბიჭ-გოგოს(?) ოფლით შვიდი წელიწადი თავი ირჩინა და წელს მოიმაგრა“, მაშინღა, მათის სამსახურის გადაუხდელად, მათი თავიდან მოშორება განიზრახა და ამისათვის „შეცდენა“ დააბრალა, ჯვარი გადასწერა და თავის სახლიდგან გააგდო.

სალომე და მიხეილა დაქორწინებულნი სადღაც ქოხში დასახლდნენ, რომელიც „სალორეს უფრო წაავგავდაო“... „საწყალს მიხეილას არც

---

*) დოსტაქარი სპარსულად ხირურგსა ჰქვიან; დოსტაქრობა—მისს ხელობას, ხირურგიას. ეტყობა, ავტორს (რომელიც, რასაკვირველია, რუსულად ჰფიქრობს) უნდოდა ეთქვა: **производить надъ другими могилами туже операцію“**, და ქართულის ენის სიწმინდის დასაცველად, ოპერაციას დოსტაქრობა დაარქვა... კიდეც იმიტომ ასეთი შვენიერება გამოვიდა.

შავ ნიადაგსაც ძალა წასვლია და რადგან უტყეობის გამო საქონლის პატივს წივათ აკეთებენ, ამიტომ თავისებურ მიწის შეპატივებისათვის მიუყვიათ ხელი: ანეულს რომ მოჰხნავენ, მერე ახლო-ახლო ჰკვალავენ, რომ ზამთრის თოვლმა მაინც შეაპატივოს და გაზაფხულის თესლი ამოაღორძინოს...

როგორც ჯავახეთის მტკვარს, ისე არტაანიდგან წამოსულს ეს მთა-ვაკე ღრმათ გაუჭრიათ და უშველებელი ხრამ-ხევნი გაუკეთებიათ. ქართველობას ამ ხრამებში ბაღები გაუშენებია. ძველ ქართველ სოფლებს საროს და ხიზამბარვას ვენახებიც კი ჰქონიათ და ღვინო უყენებიათ. ამათ ქართველობა და მესხური დარბაისლობა ისე ჰქონიათ გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ სამასი წლის ტყვეობის შემდეგ, დღესაც მღერიან მშვენიერ სუფრულს.

რას დასდევ ცუდსა პეპელსა,
ხორცი არ გარგებს ხორცათა,
ტყავიც არაფრად გარგია,—
აგრეთვე წუთი-სოფელი
გაგიფრინდება წაგივა.

ასე ფილოსოფოსობს დღესაც საროელიც და ხიზამბარელიც...

კარგია, რომ ამ ორ სოფელში სიმღერები ჩასწეროს ვინმე, სანამ გაშვება—დაავიწყდება...

ხიზამბარვაში 160 კომლია სჯულით კათოლიკე, სულით ქართველნი, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს უმეცრული გადაგვარება შეჰპარვიათ: მათი პატრი, ძველი მესხი გვარად ვარძელაშვილი სომხურად უწირავთ ხოლმე, თუმცა ხალხს „ინჩი“ არ ესმით სომხურის... ამ ქცევას ეს მამა ამართლებს იმითი, რომ „სომეხ-კათოლიკებისაგან მივიღე ხელდასხმაო“...

ს. საროს ზემოთ კაპანზედ *) სოფელი ყვარჩაა დასახლებული; ქართველთ მაგიერ ეხლა აქ 60 კომლი ოსმალოა დასახლებული. აქ არის მშვენიერ თლილი ქვის ეკლესია, თამარის დროს აშენებული. საროს ეკლესიაც *) ამ დროსაა აშენებული. ეკლესიას ოსმალნი პატივით ეპყრობიან,—კარი ამოუქოლნიათ, რომ საქონელმა არ წაპილწოსო. ვიკითხეთ, იქნებ იმათში გათათრებული მესხებიც იყვნენო, მაგრამ არ ამოჩნდნენ...

დიდის პატივით ამათ ციცაბოზედ ჩაკიდებულ გზით ხერთვისში ჩაგვიყვანეს...

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი

(გაგრძელება იქნება).

მადლობის გამოცხადება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის თავად ლევან გიორგის ძეს ჯანდიერს და თავად ნიკოლოზ ყარამანის ძეს თავდგირიძეს და მათთან ერთად მომღერლებსაც დახმარებისთვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს საზოგადოების სტიპენდიანტს ზაქარია ფალიაშვილს, პირველმა კახეთში, ხოლო მეორემ გურიაში სიმღერების შეკრებაში გრაფოფონის საშუალებით.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 აგვისტო.

პეტერბურგი. მისის უდიდებულესობის კანცელიარიის უფროსი გამგე პეტერბურგიდგან წავიდა. კანცელიარიის გამგეობა თავისს ამხანაგს მამონტოვს ჩააბარა.

მოსკოვი. მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის გამგეობაში საიდუმლო პოლიციამ სამი რკინის გზის მსახური აღმოაჩინა, რომელთაც თურმე გაუქმებულ ობლიგაციების დაუქდეველ კუპონების ნახევარი უწებებიათ და სხვა-და-სხვა ბანკში ურდგენიათ გასანაღდებლად. ამ რიგად გაუსაღებიათ სულ 6,000 მან. ობლიგაციები. ტოლსტოევსკის ქვრივისგან ისტორიულმა მუზეუმმა განსვენებულის მწერლის მთელი შეკვრა ქაღალდები მიიღო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მისსიონერთა კრება 20 აგვისტოს იქმნა გახსნილი. კრებაზედ გამოცხადდა სულ 50 კაცი.

ნოვოროსსიისკი. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მონდობილობისა თანახმად სასოფლო მეურნეობის შესახებ დაწყებული მოლაპარაკება და რჩევა 20 აგვისტოს იქმნა დასრულებული. დადგენილ იქმნა იშუამდგომლონ, რომ მევენახეობისა, მეღვინეობისა და მიწათმოქმედებისათვის საჭირო იარაღებისათვის საწყობები იქმნეს გამართული, სხვა-და-სხვა თესლეულობანი იქმნეს შეძენილნი და რჩევა და ბაასი იმართებოდეს მეურნეობის შესახებ, სამაგალითოდ ხეხილებისა და მცენარეების დარგვით.

კოპენჰაგენი. ორის ნახევარზედ მეფე დ მთელი სამეფო ოჯახობა სტუმრებითურთ საგანგებო მატარებლით ფრედენბორგიდგან გელსინგერში წარვიდნენ ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის შესაგებებლად. საიმპერატორო გემი „შტანდარტი“ 2 საათზედ გელსინგერის ნავთ-სადგურში მოვიდა, საიდგანაც მეფე-დედოფალმა ნავით მოსცურეს ნაპირამდე. ქალაქი გელსინგერი ბაირაღებით იყო შემკული.

გელსინგერი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული 2 საათსა და 5 წამზედ მიბრძანდნენ ნავთ-სადგურზედ, სადაც მათ მეფე ქრისტეანე, დანიის მემკვიდრე პრინცი და საბერძნეთის მეფის ძე მიეგებნენ. ყველას რუსული მუნდირები ეცვათ. მათნი უდიდებულესობანი სამეფო გვარეულობის დანარჩენს წევრებსაც გულითადად მიესალმნენ: შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა, მეფე ქრისტეანემა და პრინცებმა საპატიო დარაჯს გვერდით ჩაუარეს. მუსიკა რუსულს საერო საგალობელს უკრავდა. შემდეგ ყველა უავგუსტოესნი გვამნი საგანგებო მატარებელში ჩაბრძანდნენ და ფრედენსბორგს წაბრძანდნენ. ხალხმა ალტაცებით გააცილა.

ლონდონი. სამხრეთ-აფრიკის კომისსიას განუცხადა რუსეთის წარმომადგენელმა გოლდბერგმა, რომ ჰსურს შეასწოროს ზოგიერთი ციფრები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებმა გამოაქვეყნეს რუსების მიერ წარდგენილ დავისა შესახებ. გოლდბერგის სიტყვით, სულ 38 დავაა თურმე ატეხილი 10,175 გირვანქა სტერლინგისა.

ბერლინი. ჩინეთის საბოდიშო საელჩო ღამის თერთმეტს საათზედ წავიდა ბერლინს.

ლონდ[illegible]. ტიანძინიდგან იუწყებიან 18 აგვის[illegible]ს, რომ ბომბეის მე-3 ცხენოსან რაზ[illegible] ტიანძინიდგან გამოსვლა გაუქმებულია.

ბერლინი. „Ostasiatische Correspondenz“ ჩინეთის საბოდიშო საელჩოს შესახებ შემდეგს იუწყება: „შევგიძლიან ვაცნობოთ ყველას, რომ გერმანიის იმპერატორმა თვითონვე მოისურვა გადაეცათ პრინცის ცუნისათვის, რომ პოტსდამში ინახულებს მარტოდ მას. აუდენციას მხოლოდ თარჯიმანი დაესწრება. პრინცმა ამისათვის მადლობა გარდაუხადა. აუდენცია ოთხშაბათს ან ხუთშაბათს მოხდება“.

ტრომსე. ადმირალი მაკაროვი, კომანდირი, ოფიცრები და „Ермакъ“-ის ყველა მსახურნი, აგრეთვე სამეცნიერო ექსპედიციის წევრნი პოლიუსზედ მოგზაურობიდგან დაბრუნდნენ, ნათესავებსა და ნაცნობებს სალამს უძღვნიან და ატყობინებენ, რომ ყველანი ჯანმრთელად არიან. *)

პეტერბურგი. მისის იმპერატორებითი უმაღლესობის ლეიხტენბერგის გერცოგის თავადის ევგენი მაქსიმილიანეს ძის რომანოვსკის გვამი საკუთარ სასახლიდგან 21 აგვისტოს იქმნა ალექსანდრე-ნეველის ლავრაში გადასვენებული და დაკრძალული.

კიევი. გარდაიცვალა ქვრივი მარიამ ესიკორსკისა, რომელმაც ანდერძით 100 ათასი მანეთი დასტოვა სწავლა-განათლების საქმისათვის და სამის ეკლესია-სკოლის ასაგებად კურსკისა, ტავრიდისა და სიმბირსკის გუბერნიებში, და 6000 მეტი სტიპენდიების დასაარსებლათ ხარკოვის უნივერსიტეტში სამათემათიკო ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

ლონდონი. გუშინ აქ სასტუმროში დააპატიმრეს იოჰანესბურგის უკანასკნელი კომენდანტი, ბურების მიერ დანიშნული, დოქტორი კრაუზე, რომელმაც თავის დროზედ იოჰანესბურგი რობერტს გადასცა, ფიცი მიიღო ინგლისის ერთგულობაზედ და უკანასკნელი 4 თვე ლონდონში სცხოვრობდა. კრაუზეს ჯაშუშობა ბრალდება. დღეს დილით კრაუზე საპოლიციო სასამართლოში იქნება დაბარებული ბოუსტრიტს.

პარიჟი. „Matin“-ი, კონსტანტინეპოლიდგან მიღებულ კერძო ცნობებით, იუწყება: სულთანი ერთმა დიდმა სახელმწიფომ წააха[illegible] და დაარწმუნა, რომ ძალისა [illegible]მნება ნახმარებიო. [illegible]ლა არ [illegible] [illegible]პულია [illegible] სულთანი დამშვიდე[illegible] [illegible]მობას მოწა[illegible]ლიადაც არ არის დათ[illegible]ებს, რომ [illegible]დინებულიო. გაზეთი უმა[illegible]ჰხვდება სულთანი უთუოდ მალე მ[illegible] თავის შეცდომასაო.

როგორც „Rappel“-ს კონსტანტინოპოლიდგან ატყობინებენ, ოსმალეთის მოხელეებს აუწერიათ სამუშაო მასალა ერთის გერმანელ ინჟინერისათვის, რომელსაც მადაროების დამუშავების კონცესია აქვს აღებული, და ნება არ მიუციათ მუშაობის განგრძობისა. გერმანიის ელჩმა პროტესტით მიჰმართა პორტას.

პარიჟი. მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ შეიმუშავა პროგრამმა ხელმწიფე იმპერატორის მიღებისა. დელკასსემ აუწყა თავისს ამხანაგებს საფრანგეთ - ოსმალეთის უთანხმოების საქმის მსვლელობა. „ჰავასის სააგენტო“ უმატებს, რომ ოსმალეთმა დანაპირს უღალატა და არც ერთი ნაკისრი ვალდებულობა არ შეასრულაო. საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლიდგან გასვლის ბრძანება მიიღო, ხოლო პარიჟში მყოფ ოსმალეთის ელჩს გააგებინეს, რომ იმის პარიჟში ყოფნას აზრი არა აქვს.

კოპენგაგენი. გემმა „ვარიაგმა“ ბრძანება მიიღო ეახლოს ხელმწიფე იმპერატორს დანციგში.

პოტსდამი. პრინცი ცუნი ნაშუადღევს აქ მოვიდა საგანგებო მატარებლით.

ტვერი. 21 აგვისტოს ტვერში მობრძანდა ხელმწიფე მემკვიდრე. მისი უმაღლესობა საგანგებო მატარებლით მოვიდა პირველ საათზედ. მიიღო რა სადგურზედ მოხელენი, მისი უმაღლესობა გუბერნატორთან ერთად ეკკლესიაში წაბრძანდა, სადაც დაჰხვდნენ სამღვდელოება და მთავარ-ეპისკოპოსი დიმიტ[illegible]ი, რომელმაც მისაგებებელი სიტყვა წარმოსთქვა. მისმა უმაღლესობამ თაყვანი სცა დიდის მთავრის მიხეილ იაროსლაველის წმ. ნაწილებს. შემდეგ გუბერნატორთან ბრძანდებოდა, სადაც საუზმე მიირთვა.

---

*) კაპანს ეტყვიან ფრიალო კლდეს, რომელიც დაჰყურებს ხრამ-ხევს.

*) იხილე ჟურნ. „მოგზაური“ № 4.

*) ზემოდ მოყვანილი დეპეშები დაგვიანებულია.

სახნავი გააჩნდა, არც სათესი, მხოლოთ ისევ მეზობლების შემწეობით ირჩენდი თავს“. და „ასეთს გაჭირებულს მდგომარეობაში მყოფთ, ლარც „ბორჩიკები“ ასვენებდნენ... ბევრჯერ სახლიც გაუჩხრიკეს საწყალ მიხეილას, მაგრამ პირმოტეხილი კოკისა და შებზარული ქოთნის მეტი არაფერი გააჩნდა და რას წაიღებდენ?!“

ერთს „კორკოტობის“ წინა დღეს მიხეილას კარს მიადგნენ იგივე „ბორჩიკები“ და წაართვეს ღორი, რომელიც თურმე „საზიარო“ იყო. გამწარებული სალომე დაედევნა „ბორჩიკებს“ და თუმცა ბევრი იძახა—„თქვე ულმერთოებო, ნუ მიგყავთ, საზიაროა, საზიაროო!„—მაგრამ ვერას გახდა. ღორი წაიყვანეს.

„ამ გარემოების შემდეგ ყოვლისფრით იმედ გაწყვეტილი სალომე ავათ გახდა და მოუვლელობის გამო გარდაიცვალა“.

ასეთს ამბავს რომ კითხულობ, არ იცის კაცმა რა იფიქროს: ნებსითი სიცრუვეა ავტორისა, თუ ცხოვრების სრული უცოდინარობა? ვილაც ღარიბი და გახრეკილი აზნაურშვილი, რომელიც ორი შინა-ყმის შრომით-ღა იკვებება და რომელსაც ავტორი მძლავრსა და ცბიერს ფეოდალად გვისახავს,—ეს სასაცილო საშინელება შვიდი წელიწადი თავისს ნაყმევს გოგო-ბიჭს აბრიყვებს, არ ათავისუფლებს, მუქთად ამუშავებს, ძალად აქორწინებს და თავის სახლიდან აგდებს, ისე, უჯამაგიროდ და უნადელოდ. ესენი-კი ამ უსამართლობას—ოცდა ხუთმეტი წელიწადია!—იტანენ, ბატონს ეორჩილებიან, არც ხმას იღებენ და არც უჩივიან...

ნეტა სად მოხდა ეგ ამბავი? ნუ თუ იმ დალოცვილს ქვეყანაში არც პრისტავი იყო, არც ნაჩალნიკი, არც პოსრედნიკი, არც გუბერნატორი, და არც სასამართლო, რომ მიხეილას საჩივარი მოესმინათ და გულმყრალაძის მამულიდან მის ერთად-ერთის ნაყმევისათვის ნადელი ჩამოეთალათ, ან შვიდი წლის ჯამაგირი გადაეხდევინათ? ვთქვათ, მოხელეებმა არ შეიწყნარეს მიხეილას საჩივარი, ნუ თუ ერთი კაი „დანოსჩიკი“ ვერ იშოვა, ათიოდე არზა დაეწერინებინა?

მაგისათვის ფულია საჭირო და საწყალს მიხეილას ვინ მისცა ფულიო?!—მართალია, მაგრამ რად არის მიხეილა უფულოდ? რადა ზის უილაჯო შინ კუტივით, ან თითონ და ან მისი „მეტად მშრომელი ცოლი“ სალომე, რომელსაც შინ სამუშაო არა აქვს-რა? რას შეჰყურებენ ხელში თავიანთ მეზობლებს ან ფოფოდიას, რატომ არ წავლენ სადმე სამუშაოდ ან მოსამსახურედ არ დადგებიან, რომ თავის სარჩო იშოვონ მაინც? მოთხრობიდან არა სჩანს, რომ ცოლ-ქმარს უძლურობა ან სნეულობა უშლიდეს მუშაობას. მაშ რისთვის-ღა ჰკლავს მათ ავტორი ძალად შიმშილით?

თვით ავტორი გვაუწყებს, მიხეილას არც სახნავი გააჩნდა, არც სათესიო; მისი ქონება ქოხია, რომელიც უფრო საღორესა ჰგავს, ერთი პირმოტეხილი კოკა და შებზარული ქოთანიო,—და ასეთს უნადელო კომლს, რომელიც მათხოვრობით სცხოვრებს, იგივე ავტორი „ბორჩიკებს“ მიაყენებს სახელმწიფო ხარჯის გადასახდევად.

დიაღ, ძიმე ტვირთად აძევს გლეხკაცობას სხვა-და-სხვა გვარი სახელმწიფო ხარჯი და ბეგარა, მრავალი შემაძრწუნებელი უსამართლობა და ძალადობა ხდება მათს გაწერასა და გადახდაში, მაგრამ უმიწა-წყლო და მათხოვარისაგან რაიმე სახელმწიფო ხარჯის გამორთმევა,—და ისიც შემთხვევით ან შეცდომით-კი არა, არამედ მუდამ და ჩვეულებრივ,—ეგ კი დასაჯერებელი არ არის. ნამდვილ რომ მომხდარიყო კიდეც, მაგისთანა მოვლინება, ვით არა ჩვეულებრივი და არა საზოგადო, მაინც არ გამოდგება სუჟეტად ისეთის თხზულებისათვის, რომელიც სოციალურ წყობის დასახვასა და დახასიათებას ჩემულობს.

ამიტომაც არ არის დასაჯერებელი, ვითომც მოთხრობის ფაქტების გადმოცემაში ავტორი განზრახ სცრუოდეს, რათა თავისი ტენდენცია გაამართლოს,—არც ისეთი უვიცია ჩვენი მკითხველი, რომ აშკარა ტყუილით გააბრიყვო. უფრო საგონებელია, რომ თვით ბ. იონა თლუღელი გამოუცდელი და გულუბრყვილო მწერალია, რომელსაც სჯერა, ვითომც ყმების განთავისუფლების დროს გლეხის ბედი და უბედობა მარტო ბატონის ნებაზედ იყო დამოკიდებული; ვითომც აქამდის არავითარი კანონი, დაწესებულება და მოხელე გლეხის ინტერესს არ იცავს; და ვითომც გლეხი ყველასაგან დავიწყებულია და განწირული და ვისაც უნდა და როგორც უნდა ისე სჩაგრავს. ესრედ წარმოდგენილს ცხოვრებაში, რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელი და დასაჯერებელი ხდება, და ასეთი ფანტაზია პირველ თვით ავტორს გააბრიყვებს.

ორსავე გარჩეულს მოთხრობაში, როგორც მკითხველს ზევით მოვახსენე, ტენდენცია ცხადად სჩანს. ქ-ბ. ნატოს სწადდა „ბურჟუაზულის წყობის მსხვერპლი“ დაეხატა და ბ. იონა თლუღელს—ფეოდალიზმისა. ორივეს კეთილი განზრახვა ჰქონდა, გადებირათ ჩვენი გული იმ მსხვერპლთაკენ და ჩაეგონებინათ ჩვენთვის სიძულვილი იმ უსამართლო სოციალურის წყობისათვის. მაგრამ ამის ასასრულებლად ორივეს არც ნიჭი ჰქონდა და არც ცხოვრების ცოდნა, უნიჭობითა და უცოდინარობით-კი კაცი თავისს საქმეს თუ არ ავნებს, არას არგებს.

ალ. ს—შვილი

თვა და სამ საათზედ პეტერბურგში წავიდა. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა.

ლოდზი. პეტრაკოვსკის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა საქმე გლეხის ტომას ხოინიცკის, რომელსაც 72 წლის ქალის მოჰკვლა ჰბრალდებოდა გასაძარცვავად. სასამართლომ ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 12 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

22 აგვისტო.

პენზა. ფინანსთა მინისტრის მიერ პენზის გუბერნატორის ტელეგრამის უქვეშევრდომილესად მოხსენების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის ჰბრძანა 10,000 მანეთი იქმნეს გადადებული.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა, თუ სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოებმა რა წესით უნდა ჰმართონ სახალხო კითხვები.

სახელმწიფო ბანკი ამ წელს ბანკში დაბრუნებულ ჰუჰყიან თეთრი ფულის, აბაზიანების, სამშაურიანების, ორ-შაურიანებისა და შაურიანების რეცხვას შეუდგა; მიუხედავად იმისა, რომ ასრე გარეცხილი ფული სახმარებლად კიდევ გამოსადეგია, ზოგიერთს ადგილებში ეჭვი შეეპარათ, რომ ასეთი ფული ნამდვილია და დაბრკოლება აღმოუჩნდა, ასე რომ ბანკმა იცის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარეცხულ ფულის აღებაზედ უარი უთქვამთ. ამის გამო საყოველთაოდ აცხადებს სახელმწიფო ბანკი, რომ სახმარებლად გამოსულია ვერცხლის თეთრი ფული, რომელსაც ყველა სახაზინო კასსები და ბანკის დაწესებულებანი დაუბრკოლებლივ მიიღებენ.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავისს მამულში წაბრძანდა ბორჯომს. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მეუღლე მისი ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ გატჩინიდგან აიტოდორში წავიდნენ (ყირიმში).

სოფია. კრება მინისტრების წინაამდეგ აღძრულ ბრალდებათა განხილვას შეუდგა. ბრალდებული არც ერთი არ დასწრებია. კარაველოვი თხოულობს ბრალდებანი უყურადღებოთ იქმნენ განხილულნი. ზოგიერთები თხოულობენ მთელი კაბინეთი, პაპრიკოვითურთ, სამართალში იქმნეს მიცემული. სტამბულოვის მომხრე პეტკოვი ამ წინადადების წინააღმდეგია. კენჭს ხვალ უყრიან.

ვენა. ლეიხტენბერგის ჰერცოგის ევგენი მაქსიმილიანეს ძის გარდაცვალებისა გამო სასახლე რვა დღით მგლოვიარეთ იქმნება.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება დეპეშით: „როგორც ბრიტანიის სხვა-და-სხვა რაზმების მოხსენებიდგანა სჩანს, 13 აგვისტოდგან მოუკლავთ 19 ბური, დაუჭრიათ 3, ტყვეთ წაუყვანიათ 212 დამორჩილებიან 127, დავლათ წამოუღიათ 194 თოფი, 25,760 სროლა ტყვია-წამალი, 144 ურემი, 1,700 ცხენი, 7,500 სული საქონელი და მრავალი სანოვაგე.

ფრედენსბორგი. ინგლისის მეფე კვირას მოვა გელსინგერში გემით „ოსბორნით“, რომელსაც თან ინგლისის ორი კრეისერი მოჰყვება.

ვიყვან „ნახლებნიკებს“
იაფად.
გონჩაროვის ქუჩა, 28.
თოიძე.
(2—184—1)

ბალანსი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისისათვის 1091 წლისა

აქტივი

		მან.	კაპ.		
ნაღდი ფული კასსაში.		90,729	31	—	—
გირავნობის ფრცლებით		524,000	—	—	—
კუპონების ახალ ფურცლებით.		1,500	00	—	—
ძველის ტალონებით.		500	—	616,729	31
მიმდინარე ანგარიში სხვ-და-სხვა ბანკში		285,020	12	—	
ტფილისის საურთიერთო სამეურნო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი		20,850	—		—
კორესპონდენტებთან ნაღდად.		48,591	73	354,461	85
,, ,, გირავნობის ფურც.		—	—	457,600	—
ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:					
სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები:					
ა) სათადარიგო თანხის სარგებლიანი ქაღალდები	477,300	461,237	71	—	—
ბ) სამოქმედ. თანხის	709,200	687,596	69	—	—
მთავრობის მიერ არა-უზრუნ.-ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები:					
სამოქმედო თანხის	291,700	267,172	48	1.416.006	88
იმათი სარგებელი		—	—	148	05
	1.478,200				
დიდ ვადიანი სესხი:					
ა) მიწა-ადგილის გირაოზედ მიღებით გაცემული	3.636,281—56	—	—		—
ბ) ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოზედ მიღებით გაცემ.	19.678,948—27	23·315·232	83	—	—
ვალაზედ გარდახდ. სესხი	82,171—77	—	—		—
ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით	3,105—40	185,267	17	23·500·500	00
გასაცემად დანიშნული ხანგრძლივ-ვადიანი სესხი		—	—	234,700	00
მსესხებელნი:					
ა) დანაწილებულნი შემოსატანნი.		2,339	30	—	—
ბ) ვადა-გადადებული შემოსატანი		46	—	—	—
გ) ვადას-გადაცილებულნი შემოსატანნი (დებიტორები).		37,192	37	39,577	67
შეღავათიანი გარდასახ. § 12:					
ა) დიდ-ვადიანის სესხისა.		530,612	14	—	—
ბ) მოკლე ვადიანის სესხისა		7,291	95	537,90	09
ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის		—	-	13,432	64
მოკლე-ვადიანი სესხი.		—	—	259,281	00
დასაბრუნებელი ხარჯი		—	—	18,411	40
ვადამდე განაღდებული კუპონები.		—	—	—	—
5°/₀ გარდასახადი კუპონებისა		—	—	83	99
ხარჯი: ა) ბანკის მორთვა-მოწყობისა		7,273	22	—	
„ ბ) გაძღოლისა და შენახვისა		47,069	19	54,342	41
საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები		—	—	174,5[illegible]8	50
ბანკის საგენტოშია გირავნ. ფურცლებით.		104,600	—	—	—
,, ,, ნაღდ ფულად.		60,440	72	165,040	72
გირავნობის ფურც. ექსპედიციის მიერ გამოცემული		—	—	11,100	00
ბანკზედ დარჩენილი მამულების შემოსავალი და ხარჯი.		—	—	2,999	85
სამრეწველო გარდასახადი		—	—	110	40
ბანკზედ დარჩენილ მამულებზედ ირიცხება თავნი ვალი:					
ა) ქალაქის მამულებზედ	30,205—51	—	—	—	—
ბ) მიწა-ადგილზედ	17,146—23	—	—	—	—
გ) მოკლე-ვადიან სესხის.	6,820—00	—	—	—	—
	54,171—74	—	—	—	—
ბალანსი				27.856,958	76

პასსივი

ძირის ფული	—	—	457,231	97
სათადარიგო თანხა	—	-	461,237	71
თანხა საზოგადო საჭიროებისათვის	—	-	24,236	24
სასოფლო-სამეურნო თანხა	—		24,061	55
საყოველ-შემთხვევო თანხა			28,652	53
4½°/₀ გამოცემული გირავნ. ფურც.	4.833,400	00	—	
5°/₀ ,, ,, ,,	18,455,900	00	23,289,300	00
გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე 101 § ის ძალით, არა სავალდებულო გარდასახადის მოსასპოპად	-	—	211,200	00
გირავნობის ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი.	—	-	234,700	00
გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემული.	--	—	—	-
ვადამდე გადასახდელი სესხი:				
ა) გირავნობის ფურცლებით.	487,700	00	-	—
ბ) ნაღდის ფულით	3,105	40	490,805	40
ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები:				
4½°/₀	2,400	00	--	
5°/₀	264,800	00	—	—
6°/₀ გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსული ჩვეულებრივ და გაძლიერებულის კონვერსიით	26,100	00	293,300	00
გირავნობის ფურცლების გადასახდელი კუპონები:				
6°/₀	67	—	—	—
5°/₀	483,230	—	—	—
4½°/₀	121,005	-	604,302	-
სარგებლის ფონდი:				
5°/₀	462,510	67	—	—
4½°/₀	108,494	54	571,005	21
თავნის გასასტუმრებელი თანხა:				
4½	26.622	89	—	—
5°/₀ ვადით	7,198	83	—	
5°/₀ უვადოთ.	148 340	05	182,161	77
თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთშორის თავდებობით არის გამოცემული	—	—	20,529	69
გარდამავალნი ჯამნი:				
ა) ნაღდის ფულით	180,276	97	—	—
ბ) გირავნობის ფურცლებით.	416,200	00	—	—
ამ თავითვე გარდახდილი შესატანი.	1,137	30	525,614	27
მოკლე-ვადიან სესხის სარგებელი	—	—	9,786	44
საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურც.	—	--	193,400	00
მართვა-შენახვის ხარჯის თანხა.	102,217	86	-	—
დასაფასებლ და სხვა ხარჯის თანხა.	5,756	17	---	—
ჯარიმა.	20,758	58	—	—
სხვა-და-სხვა სარგებელი.	21,583	97	150,316	58
კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც.	1,500	—	—	—
ძველი გასაუქმებელი ტალონები	500	—	2,000	00
განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში	—	—	5,132	34
დამფუძნებელთა თანხა	—	—	77,985	06
ბალანსი	--	—	27.856,958	76

გირავნობის ფურცლების კუპონებისა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება: **ქ. ტფილისში**—ბანკის კასსაში; **ს.-პეტერბურგში**—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ.; **ოდესაში**—ბ-ნ ო. ხაისთან; **მოსკოვში**—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ძმ. ჯანგაროვების სავაჭრო სახლში: **ვარშავაში**—ვარშავის საკომერციო ბანკში; **ტაგანროგში**—აზოვ-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; **რიგაში**—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; **რეველში** —ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, და სახელმწიფო ბანკში და ამ ბანკის ყოველ კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**